

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუნძული ქართველი



## კოლეგია ფილოსოფიური

0169 ულეათა პრებული  
100 ტბილი


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 30

2020



მთ. რედაქტორი

**როინ გერია**

მათემატიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**კენიარსალი**”, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-837-3 (30 ტომი)



\* \* \*

ვაკა ეპისტოლი დაიგადა ხოგის რაიონის სრულდ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ ბრეკის სახელმგის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცდათამადე ახალგაზრდა პოეტის ლექსის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვები“, აღმსანდრა სმირნოვა-პოსტოვას მონოგრაფია – „პიტუში მონოგრაფია – ალიო მარავილი“, ვეოდორ ტოუჩხვის ლექსი და სხვა.

1993 წელს ბამოვიდა კონტის ათასბერდინანი, რომ ათასამდე ლექსის მომცველი ერთორმეული – „იქმნე ნაინ-ლი!“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის ბამოვიცემლობა „მოლოდინება“ ბამოსცა ვაჟა უბრისელის „კოლხური ფულმუხეარი“-ს ხუთორმეულის ათასზე მეტ გვერდინანი კირველი ტოში, რომელშიც რინათასზე მეტი კონტური მჩნილება იყო დაგენდილი. 2006, 2007, 2008 წლებში ბამოვიდა კონტის მეორე, მსახუ, მეორეს ათას-ათას გვერდინანი ტოშები, ხოლო 2011 წელს დაიგენდა კონტის მეხუთე, 1575 გვერდინანი ტოში, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბული.

ვაკეა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონო-ბრაზიანა დაწერილი და ცალკე წიბენებად გამოცემული.

ვაკა ებრისებლი საქართველოს და მსოფლიოს რამდენი-  
მე მეცნიერებათა პადემიის ნამდვილი ტევრია... 2016 წლიდან  
საქართველოს მოერალთა, მეცნიერობა და სახოგაძლ მოდება-  
ზეთა საერთაშორისო პადემია „პალეა-საქართველო“-მ და  
საქართველოს ეროვნულია პადემიამ დაიყვეს ჩართული კო-  
ენტის რაინდის, საქართველოს მოერალთა პაგმირის, ვაჟა-  
ფშაველასა და ბალაკორი ტაბიძის პრემიერის ლაურეატის,  
დირექტორის ორდენის პავალერის, ჩართული კულტურის დესა-  
ნის გედლისა და „დიონსურია 2005“-ის, მგვიზობის ექროს  
ვარსკვლავისა და მგვიზობის ღრმის ორდენის მფლობელის,  
სახალხო კოეტის, საქართველოს მოერალთა მეცნიერთა და  
სახოგაძლ მოდებაზეთა საერთაშორისო პადემია „პალეა-  
საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და  
ფაზისის საერთ-სამცნიერო პადემიის ვიცე-პრეზიდენტის.



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰგავს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდებლი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივან შესტრი ყოველ ქვებას, ყოველ ძაბუბას.“

ა. პუშკინი


წინასიტყვაობის მაბიტრ

(გაგრძელება)

ქართველი ხალხის შავბედობის შემზარავ, შემაშფოთებელ სურათს ხატავს პოეტი ლექსში, რომელიც კოლხეთის წარსულს ადარებს ცივ, შავ დამეს:

\*

„ომაგაბურძგვნილი შავი და ცივი –  
დამე მასსენებს კოლხეთის წარსულს,  
გამკრთალი ელვა, –  
შეცხადებას მეგრელი დედის,  
რომელსაც უცებ მოსტაცეს შვილი  
გადამთიელმა ყურსალარებმა.  
და მოდის ქარი სიშორის ტოტით  
და მარტო ვრჩები ღელვასთან და  
წარსულის ქართან:





კივილი...  
მოთქმა...  
შეცხადება...  
სისხლი და ცრემლი...  
სხვა არაფერი... არაფერი  
სიბნელის გარდა“.

ვაჟა ეგრისელისათვის არ არსებობს იდეები ადამიანის გარეშე. პოეტი ნამდვილი შუამავალია ისტორიასა და თანამედროვეობას შორის. პოეტი წარმოსახავს სვეგამწარებული ქართველი ხალხის ბედუქულმართ ცხოვრებას და თანამემამულებებს განაცდევინებს შავბნელ დღეების ტრაგედიას. თითოეულ სტრიქონში გამოხატულია პოეტის იდეები, გრძნობები, რომლებიც ასე ძლიერად აღელვებენ მას და მაინც სჯერა ხვალინდელი დღის, მზისა და სინათლისა:

\*

„საუკუნეთა მტვრიან საცერმი –  
დღეები ისევ თეთრად  
იცრება,  
და ვიდაც კივის წარსულიდან  
ათასმეულიდედ;

მოგა სხვა შოთა...  
სხვა ერეპლე...  
ვაჟა... თამარი...  
და ვითარცა მე,



მზის, სიცოცხლის, –  
ლამაზ პეშვიდან,  
ალოკავს წუხილს... დარღძსა და ცრემლს,  
გითარც ქვამარილს“.

პოეტმა შეძლო წარსულის სურათები საკუთარ  
ფანტაზიაში გაეტარებინა, შთავებერა მისთვის სი-  
ცოცხლე, პოეტისათვის განსაკუთრებით დირებულია  
წარსულის გმირული ეპიზოდების შეგრძნება.

\*

„წარსული უცებ ამომზიანდა:  
გაცოცხლდა ყველა,  
გინც გვყვარებია...  
ოცნებისა და  
სიყვარულის  
თეთრი დღეები  
წასულან?  
– არა!  
უბრალოდ თვალს მიგვფარებია“...

მეტაფორას აქ გამოცლილი აქვს ჩვეულებრი-  
ვი ნაგულისხმევი საყრდენი. იგი განცდილია და გა-  
აზრებული, როგორც ჭეშმარიტი რეალობა, როგორც  
საგანთა ფარულ შინაგან არსთან ინტუიციით, პოე-  
ტური ზეშთაგონებით მიახლოების შედეგი.  
სელოვნების, პოეზიის მარადიული წყარო ცხოვ-



რება და ფანტაზიაა, სასწაულებრივი განცდა მშვენიერებისა. პოეტმა შეუფარდა თავისი ძალა მიზანს და ამიტომაც:

\*

„გარდასულ დღეებს –  
გეწნები  
და მახალისებს  
რაოდენ,  
როს პირას ლამაზ ჭალაში,  
ნაწნავს იწნავდნენ  
ძეწნები,  
ბროწეულები ყვავოდნენ“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში პატრიოტიზმი რწმუნით, ნათელი ოპტიმიზმითაა გაჯერებული. პოეტი ერის ისტორიას რელიგიური დროის სამანებში აღიქვამს და მოიაზრებს ერთ რეალურ მთლიანობად, სადაც წარსული, აწმყო და მომავალი ხელისელჩაკიდებული მოაბიჯებენ და პოეტის რწმენაც ნათელია, რომ საქართველო გადარჩება.

\*

„სიავით სპარსიც დაჩრდილა ალვირახსნილმა  
არაბმა,  
წევს ქართლი ისარგაჩრილი  
და თქვა მტკვარმა და არაგვმა:



„იგი ვეფხია დაჭრილი, მაგრამ მომაკვდავს  
არა პგავს!“

მოხმობილი ლექსი განათებულია პოეტის ოპტი-  
მისტური განწყობით და მაჟორული ინტონაციით  
გვარწმუნებს ქართული გენის მარადისობაში.

ვაჟა ეგრისელის, როგორც შემოქმედის, კერ-  
პთაყვანისმცემლური გრძნობა საქართველოსადმი,  
მისი ისტორიული წარსულისადმი ყოველ სტრიქონში  
იგრძნობა და გამოსჭვივის. მისი პოეზია მდიდარია  
და ორიგინალური, თითქოს თავიდან აღმოჩენილი  
პოეტური საღებავებით და, უფრო მეტიც, ამაღლებუ-  
ლი სტილით.

სამშობლოს გულწმინდა სიყვარულის პიმნია ვაჟა  
ეგრისელის ეს მარადუამს გაუხუნებული სტრიქონები:

\*

„მომხდურთ თავები პანტა ვაშლივით

თურმე ცვიოდა

ციხიდან და აკროპოლიდან,

ქვა დახვედრია აქ, როდესაც სეტყვა

მოვიდა.

მითრიდატეს თუ აიეტს

შტოზე ნამყენნი –

კოლხეთის წარსულს მიღამპრებიან.

ჩვენ აქ მტვერი რომ

გავაღვიძეთ და ავაყენეთ,



მტვერი კი არა მამულისათვის –

მტვრად ქცეული წინაპრებია“.

ეს არის ჩვეულებრივი, მსუბუქი აკვარელით შესრულებული, უაღრესად დახვეწილი ფერწერა. წარსულის სურათები აქ დანახულია ახალი, უჩვეულო თვალით. პოეტის აქ ციტირებული სტრიქონები და იდენტური იდეის გადმომცემი სხვა სტროფების წაკითხვისას აუცილებლად გაგვასხენდება საქართველოს ბულბულის აკაკი წერეთლის მართებული მოსაზრება:

„მწერალი მთელი ხალხის მოძღვარია, მის ნაწერებს ყოველთვის პედაგოგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და არა გრძნობა-გონების უნაყოფო ოხუჯობა“.

ვაჟა ეგრისელს კოლხეთის წარსული ეძახის მუდამ, მისი ლექსები ხან მწუხარების წვიმასავით გვასველებს, ხან სიხარულის მზესავით გვათბობს. თავად პოეტი გახლავთ სამშობლოს წარსულზე, მის ისტორიასა და ტრადიციებზე, სახელოვან წინაპართა სახელებზე აღზრდილი „კაი ყმა“, რომელსაც მუდამ ყურში ჩაესმის სხივნათველი წინაპრის ხმა:

\*

„შავმა ქამმა გარდასულმა

წამით მიძმო და მიშვილა

და რომ მესმა

„კოუ ბატა“.



თვალმა ცრემლი მოუხშირა,  
გულმა ცემას მოუმატა“.

პოეზიის წვდომა სულის გამოცოცხლებაა, ხოლო „მარადიული სიცოცხლით დაჯილდოებული კითხვის – რა არის პოეზია? – „ზუსტი და ნანატრი პასუხი“ თვითონ პოეზიაა, ანუ ესაა თუ ის პოეტური ქმნილება“. პოეტის ხმები სავსეა ქარიშხლით, ზღვის ძახილით, მის თვალებში მზე ირწევა და ფეხქვეშ ბალახივით მთელი დედამიწა მამულის საგალობელს მღერის. როდესაც ასეთ სტრიქონებს ამბობს პოეტი, იგი რწმენისაკენ ლტოლვის ნერვს ეხება და მზადაა მსხვერპლის მისატანად. ასეთი ლექსები იოლად აგნებენ გულიდან გულამდე სავალ გზა-ბილიკებს და სამუდამოდ რჩებიან მკითხველთა მეხსიერებაში.

ვაჟა ეგრისელის პოეზია – მზის პოეზიაა. ფრანც კაფკას თქმით: „წერა თავისებური სულების შელოცვაა, პოეზია გვაღვიძებს ჩვენ, პოეზია ლოცვას ჩამოგავს“.

ხოლო დიდი გერმანელი პოეტი ერის მარია რიდკი წერს: „ლოცვა უეცრად აალებული ჩვენი ყოფიერების გაბრწყინებაა. თავად ლოცვაა შემოქმედება“.

ვაჟა ეგრისელის ლირიკული პერსონაჟი უფაქიზესი სულის მატარებელი გმირია, რომელიც დამუხტულია პოეტური ხილვებით, პოეტური სახეებით და თავის განცდებისა და ტკივილის თანაზიარს გვხდის. მისი შემოქმედების ტილოზე ჭეშმარიტად პარმონი-



ულ, ღრმა და ვრცელ სამყაროს ვხედავთ. მისი პოეზია, მისივე გულის ამოძახილია. რა ორიგინალურად ერწყმის ვაჟა ეგრისელისეული ხელწერა მისი პოეზიის ქსოვილს:

\*

„მზისგან ოდნავ გათელილი,  
დამის შავი ნაბადი და  
მთვარის თეთრი ყაბალახი  
შვენის ცას და...  
ზღვის მინდორზე,  
ღრუბლის ფარას აბალახებს“.

აქ რეფლექსია, სული მოკრძალებით უთმობს პირველობას ინსტიქტს და ნებას, თითქოს პოეტსა და სამყაროს შორის ჩნდება რაღაც უხილავი პარმონია სიყვარულისა, ადამიანსა და რეალობას შორის. ლექსების თითოეული ბწყარი გვარწმუნებს, რომ ადამიანის ტკბობას ფიზიკური არსებობით, მის აღზარებას ბუნების უმშვენიერესი სურათებით დასასრული არ უჩანს:

\*

„მოდის აპრილი...  
და ველ-მინდვრები,  
სელებს უყრიან მწვანე სამოსეულს.  
იქვე,



ახლოს მდგარ მთას კი პირიქით,  
ტანზე აცვია მოქაოქათე თოვლის პერანგი  
და,  
ჰალებუხივით ჰკიდია ბილიკი“.

პოეტი გვარწმუნებს, რომ სამშობლოს წარსული  
ისეთივე თანაარსია ბუნებისა, როგორც აწმუო, თი-  
თოვეული ბწყარი ლექსისა ზნეობრივი გმირის ნა-  
ფიქრ-ნააზრევის ჭეშმარიტი გამოხატულებაა:

\*

„ტეხურის პირას –  
თვალებს იფშვნებს  
ნაქალაქარი,  
და მე დავცემი იხევ,  
ეკიდან,  
ვით წინაპრები დასცემოდნენ  
დიდი ხნის წინათ...  
გათენებიდან ცას და მიწას  
ცეცხლი ეკიდა,  
შედამებისას,  
ჩასაქრობად მოვიდა წვიმა“.

ვაჟა ეგრისელისეული პატრიოტული ლირიკა  
სრულიად ახალი ფერწერული ხატებით ელვარებს,  
პოეტს წაუკითხავს ქართლის ცხოვრება, არა რო-  
გორც მატიანე, არამედ როგორც ქართლის ტრაგედი-



ის შემზარავი სურათი, რომელიც მისთვის ეროვნული რექვიემია:

\*

„საუკუნეთა უმძიმესი საფეხურებით

ავალ გუმბათზე

და საქართველოს

წარსულში ისევ გადავიხედავ:

ყელამდე ომში გმინავს –

წარსული.

და შორით ვისმენ –

მეციხოვნის ძახილს

ციხიდან,

ვითარცა მეფე, ლაშქრად

გასული“.

სისხლიანმა ისტორიულმა ოვალისავალმა ქართველ კაცს განაცდევინა ქვეყნად ადამიანად არსებობის ისეთი ნაპრალები, რომელთა სახეცვლილებაშიც გარკვეულ სტერეოტიპამდე მისული სულიერი წევის ქართველური სახე ჩამოუყალიბდა.

„ბ. პასტერნაკის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: ქსაა რაღაც საოცრად ცოცხალი და ცხოველი რამ, შემდგარი თანამედროვე ქალაქური ცხოვრებისა და ბუნების თუ ბუნებრივი ტიპის, ხოლო, რაც მთავარია, ორი რიგის მრავალსაუკუნოვან წრეთა შერ-



წემა-შეჯახების შედეგად, რომელთაგან პირველი ავლენს გამარჯვებით თრობისა და ზეიმის, თითქმის ზერელობის ზღვრამდე მისულ განწყობილებათა ფუნას, ხოლო მეორე შემაძრწუნებლად ტრაგიკულს, უსაზღვრო სიღრმეთა და სიმაღლეთა შემცველს, გამაოგნებელს, დამადუმებელი ჭარეტითა და წვდომით საცნაურთა“.

ვაჟა ეგრისელის პოეზია ემოციურობის გამოხატვის სწორულვარი ფორმაა და მისი ინდივიდუალურ სახეს ყველაზე მეტად დროის ამოცანები განსაზღვრავენ...

კაცობრიობა ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთში იყო სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის მოწმე: ეს დიდი ბრძოლა არც გუშინ დაწყებულა და ალბათ არც ხვალ-ზეგ დასრულდება. ამ ბრძოლაში დიდი როლი ენიჭება პოეტის, მწერლის, ხელოვანის სიტყვას. პოეტი მტკიცნეულად განიცდის სიკეთისა და ბოროტების გაუთავებელ შერკინებას. პოეტი მზად არის სათნოების ყანაში სიყვარულის ხე დარგოს, რადგან სჯერა ცხოვრება ტყეა უდაბური. სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია და გადარჩენა მხოლოდ სიყვარულის ხეს შეუძლია:

\*

„ცხოვრება ტყე არის უდაბური,  
სად ჟამნი არყოფნის სმას

აშნავენ,  
სიცოცხლეს ეშინია და ციგა.  
სიყვარულის ხე –  
არის მარადმწვანე,  
სიძულვილის ხეს –  
ფოთლები  
ცვიგა“.

ჩვენს საუკუნეში პოეზიას მრავალჯერ უწინახე-  
წარმეტყველეს სიკვდილი, რაც იმის მაუწყებელია,  
რომ სიყვარულს, რომელიც სილამაზისა და ბედნიე-  
რების უშრეტი წყაროა, იგივე განაჩენი გამოუტანეს.  
პოეტი გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ ცათამ-  
ბჯენებით დამძიმებულ მხარეების მიღმა ჯერ კიდევ  
არსებობენ კვავილოვანი მინდვრები და ანკარა ნაკა-  
დულები, რომლებიც სიყვარულის მარადიულ სიმღე-  
რას მდერიან.

სიყვარული სასწაულია, რომლისთვისაც ადამი-  
ანმა მსხვერპლი უნდა გაიღოს, რომ სიყვარულის  
გარდაცვლილ წუთებზე დირს დამისთვა:

\*

„ადარ მშორდება ფიქრები შენზე,  
მეხვევა ისევ,  
ვითარც მუმლი.  
და სიყვარულით გარდაცვლილ წუთებს –



ხსოვნის კუბოში ვაწვენ და

ვუგლი

და დამეს ვუთვევ“.

და მაინც უნდა ითქვას, რომ პოეტი ვაჟა ეგრი-სელი მედიტაციური განსჯითი ლირიკისათვის დამა-ხასიათებელი ხაზგასმული სიმშვიდით წერს სიცოც-ხლეზე, სიკვდილზე, მშვენიერებაზე, ამაღლებულ გრძნობებზე. თითქოს შემოქმედებით პროცესში მხო-ლოდ აზრი მონაწილეობს, მაშინ ვაჟა ეგრისელი პო-ეტურ დასკვნებს გვთავაზობს:

\*

„ნათელი მზის და იმედის  
წყარო არასდროს დაშრება.

ოცნების მთაზე მთიები  
სულ მუდამ იკაშკაშებენ.

სიცოცხლის ბაღში სიყვარულს –  
იჭახჭახებენ შაშვები“.

ვაჟა ეგრისელმა შექმნა სრულიად ახალი, ჯე-რარარსებული პოეტური სელოვნება, გააზრებული და მიზანდასახული. პოეტის აზროვნება ნათელია და მკაფიო. ჩვენს წინაშე გადაშლილი ერთიანი, პოე-ტური, დიდებული პანო საქართველოს ისტორიული წარსულის გმირული ცხოვრებისა. დიადი ენერგია და დაუშრებელი პოეტური ფანტაზია სასწაულებრი-



ვი ძალით გვნუსხავს და მთელი არსებით ვგრძნობთ რომ ის როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი არა- ვის არ ჰგავს, მაგრამ ამავე დროს ყველა დიდოს- ტატიან თითქოს სულითა და ხორცითაა დაკავშირე- ბული...

„ვაუა ეგრისელისათვის მხატვრული სახეებით აზროვნება წარმოადგენს, ჯერ კიდევ შეუცნობელ, ყველასაგან გამორჩეული პოეზიის გასაღებს, ურომ- ლისოდ მისი ლექსები იქნებოდა ჩვეულებრივ გარით- მული და არავითარ მოულოდნელ განცდას არ გამო- იწვევდა!..“

იური სიხარულიძე,  
აკადემიკოსი.

„როგორც ლომის ბოკვერში თვლემს მხეცთა მე- ფე, ასევე ვაუა ეგრისელის მინიატურებში კუთავს პოეზიის დაუოკებელი ვნება“.

მურმან პაპაშვილი,  
პროფესორი

„უბადლოა ვაუა ეგრისელის ლირიკა, ის ხანდა- ხან ჩონგურზე დაკრულ სიმღერასავით ტკბილხმოვა- ნია და თავისი აღმაფრენით ანტიკური აღკერსისა



და საფოს ლირიკას გაგონებს, ხან კი ლომივით ბუ-  
ხუნებს და თავშესაფარს გაძებნინებს“.

ბადრი სალუქაძე,  
პროფესორი.

\*

„საავდრო ღრუბლებს,  
როგორც ყვავ-ყორნებს,  
მიერეკება ქარი დასავლით.  
დირიჟორივით ცასაც შავი ფრაპი  
აცვია.  
ომიდან შვილის მომლოდინე  
ბერდედასავით,  
გათეთრებული, ჩემს ჭიშკართან დგას  
აპაცია“.

პოეტის ეს სტრიქონები ბუნებასთან ჭეშმარიტი  
ზიარებაა, მაგრამ აქვეა ომიდან შვილის მომლოდინე  
დედის მარადიული განცდები. „გათეთრებული აკაცი-  
ოს“ მეტაფორულ სახეში დედა-შვილობის მძლეობამ-  
ძლე სიყვარულის ჭეშმარიტი ჰიმნი იკითხება.

რა დიდი ვართო! – სწუხან მთები ქართული,  
მაგრამ სულ მაღლა და მაღლა ცისკენ მიიწვევ:  
„კავკასიონი გაწოლილა ბნელში სფინქსივით და  
ყინვით დამზრალ ტორებს ილოკავს“.

—  
—

ეს მეტაფორული სურათი იმ ლექსში გვაუწყა  
პოეტმა, რომელსაც „კავკასიონი“ ჰქვია:

\*

„გამთენისას დამე ღრმავდება  
და გარსკვლავები მიფრინავენ  
მოვარეულ გზებით.  
და ჭრიალებენ სიმყუდროვის ლურჯი კარები.  
ქალწულ არაგვს კი  
აბჯრიანი  
ვაჟკაცი მთები  
მიჰყვებიან და...  
დილის ნიავს არ აკარებენ“. —

ეს ლექსი იმ მხატვრული სურათის ერთი დეტა-  
ლია, რომელსაც ვაჟა ეგრისელი თავის ლექსში ხა-  
ტავს სამშობლოს სიდიადის წარმოსაჩენად და მკით-  
ხველიც მას ერთ მთლიანობაში აღიქვამს.

არაგვს ბარში ჩამოვყავართ, სადაც კვირტების  
დგას ქრიამული და სადაც „ელავს მყინვარი — ბრო-  
ლის ყელი ჩემი მამულის“. ფეხები კი მას ია-იების  
მსუბუქ ბოლში უდგას...

სხვა ლექსში პოეტი ბროლის ყელს, კავკასიონის  
მწვერვალს კი არა, არაგვის დაბლობში აურია-  
მულებულ კვირტთა სკდომას, მათ შორის ჩახატულ  
არეალს მისწვდა და გვაუწყა: „არაგვის პირა გაწო-



ლილა მთა ძუ მგელივით და ბარს მშიერი, თოვლის  
თეთრი კბილებით „უღრებს“.

არაგვის სურათის აღწერით მიღწეულია საოცა-  
რი სიახლოვის განცდა ბუნებასთან. პოეტი მთელი  
არსებით თავს დასტრიალებს და მისდამი ინტიმური  
გრძნობით გამსჭვალული წერს:

\*

„მთებში დგაფუნობს,  
ხალიანი უთორთის სხეული,  
გაქცევა ასე გაუძნელდა  
და გაუჭირდა.  
და მთებს არაგვი კალმახივით  
ჰყავს მომწყვდეული,  
მაგრამ...  
მცხეთასთან გაუსხლტება უცებ  
მუჭიდან“.

### ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



## კავკასიონი

გაისმის ლოცვა-ვედრება,  
შამი კი ისევ,  
ისეა,  
არა ჩანს ქვეყნის მსაჯული.  
კავკასიონი –  
ქრისტეა,  
ჩვენს ქართულ ცას მიჯაჭვული.

1969

## ସା – କାରତୁଳ୍ୟ

ଓଜନୀରେ ଫଳାଲ୍ଲିଙ୍ଗ ଉପରେ  
ମହିମା, ଯାରିବେ ଧେଖିବା,  
ମିଳି ଉଦ୍‌ବେଶୀ ମହି କେଣେବେ  
ସୁଲ୍ଲିଙ୍ଗ ଆପାତକର୍ମବେ.  
ଫଳ ମହାରାଜୀ ସୁଲ୍ଲିଙ୍ଗ ପାଇବାନ୍ତବେ,  
ସୁଲ୍ଲିଙ୍ଗ କେବା ଆରିଲି –  
ଓଦା କାରତୁଲ୍ୟ.

1966



## პოლიტიკური ჟურნალი

დამით – თუთარჩელათი,  
დღისით – მზით ხარ მოსილი,  
გზა გივლია აქამდე  
ასი ათასწლეული.  
კოლხი ორფეოსიგით –  
ხარ პოეტი გრძნეული.

1971



\* \* \*

მიმწერისას ზღვისკარად –  
საკოცნელად მიწამ ცა  
ჩუმად რომ მიიზიდა,  
მხე – ოზირისს გამსგავსე,  
და მთვარე კი –  
ოზიდას.

1962



## გრაალის მცხელი რაინდები

რაინდებს კი გრაალის  
ყოფნის მწვანე ჭალაში,  
აქ არყოფნა ცელიდა...  
დღეები, ვით ბალახი,  
დამეს ფერხთქვეშ ერთხმიან.  
და...

გრაალის 180 მცველიდან,  
დღეს ცოცხალი ერთია.

1999



\* \* \*

წარსულიდან რომ მოისწრაფის,

სულ სხვა ხმაა და

სხვა ზარია.

უფლის ხელებით დანთებული –

ცაში ვარსკვლავთა ხანძარია –

ელგის სიელგარით დახურული

მოვარე –

გრაალის ტაძარია.

1973



\* \* \*

მწუხარიდან –  
განთიადამდე,  
სიკრცეებს ელგად ედება,  
ჰანგი – ვარსკვლავთა ჩანგების.  
მთვარე კი არა,  
დაგვცემის,  
მოწყალე თვალით განგება.

1979



\* \* \*

სიბრძნის ხისგან ნათალმა,  
ქართულ სიტყვის ნაფოტმა,  
შენ დაგინთო კოცონი  
და ცა აგითავთავა.  
მიტომ ხარ თავმომწონე,  
რომ გდევს შური – ცალთვალა,  
სიყვარული – ცხრათავა.

1981



\* \* \*

ბიბლიიდან მოსული,  
ბედისწერამ ნადირთან  
და მხეცებთან გაომა,  
ცას სდიოდა სხვა ალი.  
სვამდი თასით გრაალის –  
სომასა და ჰაომას.

1969



\* \* \*

ଓ ଗାମନ୍ତରେ ମିଥିଜୁବରିକାରୀ  
ଉଫଲିଲ ମାଫଲ ଏବଂ  
ବିନାବିନୀ  
ଓ ମନବାଦ୍ୟରେ ନିବାରି ମତିକାରୀ.  
ଅର ହାତିର ଧରିଲି –  
ଖ୍ୟାଲିଲି,  
ଦାମିଲ ନାଥପାତ୍ରଙ୍କ ହାତିର ନିବାରି.

1986



\* \* \*

უჭინობი და ლამაზი,  
სიყვარულს რომ მისტირის,  
შენი სიტყვა —  
ბილინგბაა არმაზის,  
მდუმარებით მოსილი —  
ღმურთქალ სერაფიტივით.

1979



\* \* \*

ჰა, ჩემი კოლხეთი...  
ურთა და ჩე-გოლა...  
და სხვაგან რომ ეძებენ მავანნი:  
„სხის მთა“ აქვეა და...  
„ფილოსოფიური ქვის“ –  
სავანეც.


1968



\* \* \*

ძველი მენავე და მებადური,  
ზღვაოსანი,  
ვით ჰამილკარი,  
სანამ სიყვარულის კარს მოხურავ,  
ერთხელ გულში –  
კიდევ ჩამიკარი,  
მხარზე მეამბორე – ძველ კოლხურად.

1994



\* \* \*

ବୀରବେଳୀର ମେଘଲୀ ଓ କାନ୍ତିଲୀ,  
 ଦେଖିଲୁ ଗ୍ରହିଣୀର ଆଖିନିବୀର,  
 ମାତ୍ର ବୀରବେଳୀ ଓ  
 ବୀରବେଳୀ,  
 କାରତଳୀର ଉତ୍ସବରେବୀର ମାନ୍ଦିନୀର,  
 ଫ୍ରାଙ୍ଗିଟ-ଫ୍ରାଙ୍ଗିଟ ଆଜିବ ଆଖିନିବୀର-  
 ଆଖିନିବୀର.

1987



\* \* \*

მტკვარს და თბილისს წყვდიადი,  
ათოვდა და აწვიმდა,  
მერე უცებ ინათა,  
და გამოჩნდა მთაწმინდა  
ვით „ხსნის მთა“ და  
წმინდა მთა.

1972



\* \* \*

კოლხურ და ბერძნულ მითებში,  
თავმომწონე და

ამაყი,

კით ახლობლისას შევივლი.

რომ მოვიკითხო:

ინანა,<sup>1</sup>

ანი,<sup>2</sup>

ენქი<sup>3</sup> და ენდილი.<sup>4</sup>

1986

---

1,2,3,4 – მითიური ქალ-დვორაქები და ღმერთები.



\* \* \*

„შვიდი მიღიარდი გული გიცემს მკერდში  
სამყაროვ, მე და შენ გვიყვარს ერთმანეთი“.

პაჟა ეგრისელი

გელარ ეტევა...

კაცობრიობა,  
ისე ირევა, ვითარცა სკა-ახალნაყარი.

და ადარ ვიცი, რა ეშველება –  
სიცოცხლითა და  
სიყვარულით –

ტანჯულ სამყაროს!

1977



## გრაალის მოლანდება ციხე- გოჯთან

ტეხურის პირ,

წელზე დოინჯშემოყრილი,

ისე, ვითა ფალავანთა –

ფალავანი,

ციხე-გოჯი დგას ციგი და ამბოკარი.

მის ცადაწვდილ გალავანთან,

გრაალის კოშკს წამით

თვალი კვლავ მოგკარი.

1978



\* \* \*

ნათელი რომ შეაშინოს,  
იმალება ბნელში ელგა  
და ნიავიც აღარ იძვრის.  
შესციცინებ მადლის მწვერვალს  
და გადმოდის სული —  
სიბრძნის.

1989



\* \* \*

ალბათ შენ ხარ პირველი —  
სუსტი და  
უფერული,  
გისაც ცისკენ ეწევა  
სხივი — ნათელმხილველის,  
სიძრმნე — ეზოტერული.

1986



\* \* \*

დღიხან ქრისტეს ჯვარზე გაკვრის,  
ადამის ძის მოდგმის ცოდვა –  
დედამიწას კვლავ ამბიმებს.  
მთიები – ცის არის ბოდვა,  
მზე - კი გრაალის ბარძიმი.



\* \* \*

ଶେନୀ କମାର ଜୁହୋଲିଥି ରା  
ଏଣ୍ଟଗାର ମଧ୍ୟରାନ୍ତର ଯିବ ନୀତିଥି,  
ମତ୍ତବାରିଯେତାନ ରା  
ମ୍ଭେଜେତାନ ଆବଲାବ.  
ମନ୍ତ୍ରବଳିର ରାଧିରାନ ବିଦିଲିଥି,  
ରିଯମି,  
ବିଦିଲିଯୁରାର ସାବଲାବ.

1980



\* \* \*

სულ ბალდებმა რომ იციან,  
დედის უკან გატირება,  
შენც მოყვასმა პოეტებმა  
გდიონ ისე,  
როგორც მთვრალი სატირები,  
მიჰყვებოდნენ დიონისეს.

1993



\* \* \*

ଉଦ୍‌ବୋଲିତ ସାହଚର୍ଚି –  
ବୀଦରମନୀର ଖଲୁଗିଦାନ  
ଅମରାଜ୍ଞୀ,  
ଦୁଇମଧ୍ୟରାଥୀ ଏବଂ ଗର୍ବିତାତୀ.  
କର୍ମଚାରୀର ଖଲୁଗା ମରାଜ୍ଞୀ  
ଏବଂ ଫ୍ରାଙ୍କି ବ୍ରାହ୍ମା ଆଗମିନୀର.

1987



\* \* \*

სიბრძნის გზა კი ერთია,  
უფლის ნაამაგარი  
და მას ვეღარ იპოვის,  
ნაშიერი —  
თემანის  
და ვერც მოდგმა აგარის.

2001



\* \* \*

ଯାଥ ପର୍ଯ୍ୟମଲୀବାନ୍ତ ତପାଳ୍ୟଦୀତ –  
ଶ୍ରେଷ୍ଠିତୋନ୍ଧେବେବ ଗାନ୍ଧେବୀ,  
ଲାମାଥିବ ରଙ୍ଗେ ଆପରିଲୀବ.  
କିରିଦାନ ପ୍ରେକ୍ଷେଳ୍ସ କ୍ଷେତ୍ରିଲେ ରହୁଥେଲୀ  
ଏବ ସାଫଲାତ ମିଠାଥିବେବା –  
ମୃତୀନାମୀ ଧ୍ୟେଲ୍ୟମାନୀତ.

1978



\* \* \*

დღისით მზით და დამით მთვარით —

გადახურულ

ცის ქვეშეთში,

სიბრძნის თესლი მეც ვთესე.

გიხმობთ სულის შესაცნობად,

როგორც პავლე მოციქული

ეფესელთ.

1986



\* \* \*

ପ୍ରଥମ ଧା ଅଧାମିତି  
ବୀଶବ୍ଦନେବ ମତଗାରିଲେ କାରାଗଢ଼ି,  
ଶୁଭଲିଲେ ମନିମୟଦେଖି;  
ମାଧ୍ୟମ ସ୍ଵେଚ୍ଛା ମାତ୍ରଦ୍ୱୟରମା,  
ଲେଖିଲେ ବୀଶବ୍ଦ ପାତ୍ରରା,  
ଧା...  
ଧାକାରଗୀଲେ ହରିମି.

1979



\* \* \*

ციდან ჩამოსულები:

ანი,<sup>1</sup>

ენქი,<sup>2</sup>

ენ-ლილი<sup>3</sup> –

მოდგმა არის ნინხურის.<sup>4</sup>

მითების და ლეგენდის,

კარები,

მათ მიხურეს.

1978

---

1,2,3,4 – მითიურ კოლხთა (ქართველთა) მითიური წინაპრები (ღმერთები).



\* \* \*

ହୃଦୟ,

ଫଳଦୀର୍ଘ, ଗ୍ରୂପୋ,

ଫରୁଥାରେ ପାଦିଲେ ଆମିନିଲ୍ଲେ,

ଫଳ ଫରୁଥାରେ ପାଦିଲେ ଆମିନିଲ୍ଲେ,

ଫରୁଥାରେ ପାଦିଲେ ଆମିନିଲ୍ଲେ,

ଫରୁଥାରେ ପାଦିଲେ ଆମିନିଲ୍ଲେ,

ଫରୁଥାରେ ପାଦିଲେ ଆମିନିଲ୍ଲେ.

1976



## შიში

მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“

მეცნიერებულის ტომზე.

ვით ელვამ გადაუარა —

სამშობლოს მთებს და

ველებსაც.


„კოლხურ ფსალმუნთა“ ქუხილი,

აშინებო დევს

და გველეშაპს,

„მხეცებს აოტებო უხილავთ“.

1994



\* \* \*

ქრისტეს „მე“ და სხეული –  
ეთერულ-ასტრალური,  
მიწის მტვერში აზილეს, –  
ამას ამბობს ფარულად:  
თომა აქვინელი და  
ფრანჩესკო ასიზელი.

1978



\* \* \*

როს უფალმა ყოფნის ველზე,  
არყოფნის ხეც დარგო წყებად,  
ვით სიცოცხლის  
და ვით ცოდნის.  
მას მერე კი აღარ წყდება  
და მოდელავს წყარო  
ცოდვის.

1998



\* \* \*

ଶରୀରେ, ଜାମତା କବେଶକେନ୍ଦ୍ରିୟ –  
ଧେହେଳେ ଧା  
ଅଶୁଲେଳେ  
ଶ୍ରୀଗତ ଧାକ୍ଷିଳେ ଧା କେଣ୍ଠି ଶ୍ରୀଗତି –  
କର୍ମିସର୍ବରୀଯିଲେ କାଳକେତି...  
ରମ୍ଭିଲୋପ ମରମାଗାଲେ କାଳିତ୍ତି,  
ଧା ନଗି ନାଗିଦେଖେ,  
ତନକୁଳେ ଧା କୁଳକାନିନା –  
କର୍ମିନିଃ.

1969



## მზის თასი

გონი კაცობრიობის –

სიბრძნის ქვაზე ნალესი,

ხსოვნის ციცქნა წერტილში

მთელ სამყაროს ითავსებს.

ნათელია –

მზის თასის,

ცას რომ უდგას თვალებში.

1978



\* \* \*

ଫାର୍ସ୍‌ଯୁଲିଙ୍କାନ ରମ୍ଭ ପିତ୍ତ ବନ୍ଦା  
ମନୋମନୀ,

(ଅଲ୍ଲଦାତ ଆମାଖ୍ୟ ଧିର୍ଷ ଦାତ୍ତିକର୍ଜ୍ଞବା.)  
ଥିମ୍ବାମ୍ ଶାମତା ଦର୍ଶନଗାମୀ:  
ବାରଦୀ ଓ ମହିନୀ,  
„ଧ୍ୟେଲୀର ଫ୍ରେଶିଙ୍କାନ ଗାମନ୍ତି ଜନାବୀ  
ଓ ମିସି ନାମିନୀ,  
ମତ୍ତରିନାମୀ ଧ୍ୟେଲୀର ନାମିନୀ“.

1996



\* \* \*

სიბრძნის ციდან მონაბერი,  
ქარიშხალი მოგეძალა  
ნამეტანზე ნამეტანი.

და გრაალის —

ზღვად კითხულობ,  
ვით ცის თაღზე ფრამეტანი.

1985



\* \* \*

ମହିଦିଲ କ୍ଷେତ୍ରର ରାଜ୍ୟ ମହିଦିଲ,  
ଫୁଲି ଆରିର ଆଖାର ଆବି  
ରା ଗୁରୁ ମାନିବ ଆର ପଲାଙ୍ଗା.  
ମିଳିବାର ରା କ୍ଷେତ୍ରର ତାତିର,  
ମାର୍ଗର ମିଳିବାର  
ପଲାଙ୍ଗା.

1964



## მწვერვალები

ქართვლის ცის აიგნიდან  
გადმომდგარი,  
ქედები სიმაღლეს ლოცულობენ.  
წარსულში ასე რომ ელვარებენ –  
ათასწლეულების ნისლით  
მოცულები,  
გრაალის საყდრებია – მწვერვალები.

1982



\* \* \*

ଶେନ୍ଦୀ ଶ୍ରୀଲୋ ନୀତଗମା –  
ଗାର୍ହସକ୍ଷମାଗିଦାନ –  
ଗାର୍ହସକ୍ଷମାଗଭ୍ୟେ  
ଅର୍ଥିରା – ଅନାନ୍ଦାଗା....  
ମିଥିରମ ଶେନ୍ଦୀ ସିଠିଯାଦା ପେରିବା  
ପିଲାନ –  
ପୋଖର ମାନାନାଦ.

1998



\* \* \*

რომ გრგვინავენ ჩემი ზღვები,  
ალბათ გეხმით  
ჩემო თაყა,  
ჯვარზე ცმულს და ღამენათევს,  
მე ვუნოებდი ქრისტეს სანთელს,  
როცა სხვები,  
ოქროს კერპებს სცემდნენ თაყვანს.

1994



## ქალდე

ჩემს ძველ კოლხეთს და ბაბილონს,

მთვარის ღმერთი დაცქერს –

ქალდე.

სიბრძნის ფერი ადევთ ველებს.

ტიგროსს, ევფრატს

და ფაზისთან –

პჭვრებ წინაპარ ქალდეველებს.

1972



\* \* \*

იცი,

უკვდავებისგან,  
დღეები ვერ გიხსნიან,  
ვერც სიმაღლე მთებური.  
გწამს: მზე ქრისტეს სისხლია,  
ლოცვით –  
შედედებული.

1984



\* \* \*

სმენას,

რომ ვეღარ უხშობენ,

ნათელს,

რომ ვეღარ უშრებენ,

(აი, რამ გაგაგულისათ:)

— შენს მზით სავსე

გულისყურს

და მთვარით მოსილ სულის თვალს.

2005



\* \* \*

სიცოცხლის ხე,  
სუსტს და თოთოს,  
აშრიალებს თორმეტ ფოთოლს,  
თორმეტივე ნაყოფით.  
მაგრამ მალე ჩამოცვივა  
თორმეტივეს არყოფნა.

2003



\* \* \*

თენდება....

ქათქათა ღრუბლები,  
სივრცეებს მოუშვიათ  
თბა-წერივით.

ცის თაღზე ვარსკვლავთა ასოებით –  
გრაალის სახელია  
დაწერილი.

1974



\* \* \*

ვითარცა მზემ აღსავლის,  
თადი წითლად შეფერე,  
რადგან წარსულს –  
კოლხეთის,  
გულში ისრად ისობდი.  
და,  
აშ მარადს შეგვერის  
ჭვრეტა მარადისობის.

2005



ALBERTSU

\* \* \*

ଜୟବା,

ଅରିବେ ନୁହା,

ବନ୍ଦେଶ୍ଵର ତଥାଲେ ରମେ ଆଶ୍ରମେଦିଲେ...

ଏବଂ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ କାହାରେ...

ରମେ ମତିରେବିତ ସାବସ୍ତେ ପା,

ଅରିବେ ନୁହା ବାରଦିଲୀ.

1984



\* \* \*

ციდან ანგელოზები –

ლურჯი ფრთების ფათქუნით  
ჟამს ცისკრისას მოგივლენ -

და კარს შემოუღებენ

შენი რწმენის გალავანს.  
ცა „მამისგან“ მოგივლენს

კვლავ „მწიგნობარ ფალავანს“.

1963



\* \* \*

„ଓହୁରୁଷାଲିମିସ ଫାହଦଙ୍କା ଶାମି ଶାଖିନ୍ଦିଲୋ“.

ଜ୍ଞାନପିଲି

ଶାଫଲାଚ ଶାମି ନରକେବା,  
ରନ୍ଧରରୁ ପଥରୀ ନିରାଶ  
ଫା ହେମାମଦିନ କମା ଅଭିନ୍ଦିନ ଦରଦିନ  
ଜ୍ଞାନ କିନ୍ତୁ କିନ୍ତୁ  
— ଲାଗୁଣୀ କିନ୍ତୁ ରନ୍ଧର ମନୁଷ୍ୟରେ,  
ଫା ମଧ୍ୟରେ ଶୁକାନ ମନୁଷ୍ୟରେ,  
ଏହି, ଏହିକିମାନ କାହିଁରେ କାହିଁରେ  
ଜ୍ଞାନକିମ୍ବା ଜ୍ଞାନରେ ମନୁଷ୍ୟରେ.

1989



\* \* \*

მათი სიტყვა საუფლო –  
რწმენის ქვაზე ნალესი,  
უფლის ნებით ასრულდა,  
ნიმბი ადგათ ორივეს:  
წმიდა ეფრემ ასურს და,  
ნეტარ იურონიმეს.

1989



\* \* \*

სიჩუმეში მეხმა ელვა,  
ამოწვა და კვლავ სატევრად,  
გაიფანტა უცებ ბინდი.  
და გამოჩნდა ცისარტყელა –  
ღმერთთან მისასვლელი –  
ხიდი.

1968



\* \* \*

მხოლოდ იმ ერთმა იცის უფალმა,  
ყოფნის დღეები –  
თუ რა მძიმეა,  
კაცობრიობას სევდით რომ ტგირთავენ.  
სისხლით და ცრემლებით  
აღსავსე პირთამდე,  
შავი ზღვა ცოდვის ბარძიმია.

1978



\* \* \*

დღე-ნიადაგ მლოცველი,  
შენი მტლე და ტარიგი,  
ვიუო მე მეცამეტე,  
ვით თორმეტი ასური.  
გვედრი არსთაგამრიგემ,  
მყავ შენგან დადდასმული.

1988



\* \* \*

მთვარე უნდა გწყუროდეთ და,  
ვით მანანა, მზე გშიოდეთ...  
თანაც ვაჟა ეგრისელი –  
მტერთა თქვენთა  
შემრისხველი  
გიყვარდეთ...  
და გეშინოდეთ!


2007



\* \* \*

სანამ არყოფნის ღამით დახურულ  
სამარადისო ბინას ვპოვებდეთ,  
სავსე თასივით ჩუმად  
ვიცლებით.  
და ჩვენ ნელა-ნელა  
გკვდებით ყოველდღე,  
სანამ ბოლოს არ გარდავიცლებით.

2006



\* \* \*

მიმწერიდან –

დილამდე,

ცეცხლი მიაქვთ ფარული,

დასავლეთიდან –

აღსავლით,

ქერქიძის და სერაფიმს.

„რჯულს თაყვანი!“ –

გგასწავლის,

სიბრძნე ცის და ზირაქის.

2001



## ჰომეროსს და ჰელიოსს

წარსულიდან ჰიმნს ისმენ,  
რომელიც გულს ამრთელებს,  
თითქოს მზე დაგელიოს.  
მოსავთ ღამის ნათელი –  
ჰომეროსს და  
ჰელიოსს.

1976



\* \* \*

უფლის ანგელოზები –  
ვარსკვლავების ნელ ცეცხლზე  
ლოცვის კაბებს იშრობენ,  
უგალობენ ქართვლის ცას,  
ყოვლადწმიდა  
ღვთისმშობელს.

1991



\* \* \*

სხვაგან არა,  
ჩემს მამულში,  
ვით მარცვალი სიყვარულის,  
ჟამს მწუხარისას კარგად დამფლან,  
მუხლმოყრილი ვევედრები –  
მაცხოვარს და  
ნათელ მამფალს.

2001



\* \* \*

სამიათასწლეულის იქით,  
ჟამს მიმწუხრისას,  
გჭვრებ: ქალდეაში ქართული  
ცა – მთიებმა შემინეს.  
ლოცვა მესმა წარმართთა:  
სორექ ენქი<sup>1</sup>...  
ენ-ლილე<sup>2</sup>

1976

---

1,2 – ქართველთა ეროვნული დღისაებები.



\* \* \*

ჩემთვისაც სულ ერთია,  
მაშრიყი და მაღრიბი,  
ჩრდილოცა და სამხრეთი.  
ურწმუნოს და  
უჩინინოს,  
მაღლა ცისკენ ვახედებ,  
საქმე რომ გავუჩინო.

2002



\* \* \*

ნუდარ მიბაძავთ პილატეს,  
და ნუდარც ისკარიოტელს,  
მიბაძეთ იუდა მოციქულს,  
როს სანთლებს აუნთებთ მაცხოვარს  
და როცა იჯერებთ  
ლოცვით – გულს.

1989



## ୦୯

ସାଧ ନୀତି,  
ଜୀବ ବ୍ୟାପକି,  
ଗାନ୍ଧିଆନ୍,  
ଫାର୍ମିନ୍ଦାନ,  
ରାଜନୀତି.  
ମାନ ମର୍ମକୁରା ତାଙ୍କିର ମର୍ମଗ୍ରହ...  
ଓ ରାଜନୀତି ରାଜନୀତି,  
ଏବଂ କର୍ମଗ୍ରହ କର୍ମଗ୍ରହ.

1993



## 0სეპ ქალდე

მზის წითელი საყელო,  
მაღლა აწეულები,  
დამის კარში გადიან –  
მღვრიე ასწლეულები.  
მათ დასცექერის გულგრილად  
ქალდე,\*  
კოლხი ქალდია.

1977

---

\* ქალდე – მოვარის დვორაქა.



## ରଘୁନାଥ

ଜ୍ଞାନାର୍ଥୀ ଏକହିର ଉପାଲୀ,  
ମାଗରାମ ମିଳି ଆୟତି,  
ମାନ୍ଦ୍ରା ଗୀର ଶେବେମିନ୍ଦ୍ରି –  
ନେତ୍ରାର ଅବଶ୍ୟକିତିରେ ଡା  
ଅଭିଷାରିତିରେ ମାଜିମିନ୍ଦ୍ରି.

1991



\* \* \*

როცა რემი რომელმა  
და კაენმა  
აბელი  
მოკლა, სული ადამის,  
ცად ავარდა ალივით  
და ცოდვები აზიდა.  
„სიბრძნის წყარო“ დალიე,  
შენც გრაალის თასიდან.

1966



## მანებისში

უკვდავების მაგალითი,  
 შორს კი არა,  
 არის აქვე.  
 აქვე ჰყვაგის მეგალითი:  
 ალგეთის პირ ჩამომსხდარებს  
 გჭვრეტ: „მამიდას ქვას“,  
 და „ქალქვებს“\*.

1977

---

\* „გაქვავებული ქალქები“ – ტოტემური ძეგლები მეგალითური კულტურისა (ძვ.წ. III-II ათასწლეული)



## იაგ ქალდი და გაგუცია

მას შემდეგ ათასი წარლვნა

მოვიდა,

მაგრამ ვერც ერთმა ვერ წამართვა

ხსოვნა,

რისი წართმევა ბევრს უცდია.

და სოფელ ქალდედან,\* ვით ბაბილონიდან,

მომესმის წინაპარ წარმართოა –

„იაგ ქალდი და ბაბუცია.“

1978

---

\* ქალდე (ხალდე) – სოფელი სვანეთში.



\* \* \*

ვით ადრე, დრო ისევ ისეა,  
 დილამდე მთვარე მზეს  
     აძინებს  
 და ნისლეულში ივანებს ნისლები.  
 მწუხარის ცა – ქრისტეა,  
     დედამიწა – გრაალის ბარძიმი, –  
     ვარსკვლავთა სისხლით რომ ივსება.

1973



\* \* \*

მეცხრე ციდან ჩამოსულმა,

შენმა ტკბილმა ხმამ

საარის,

ზღვები უნდა დააწყინაროს.

რადგან ჩემო!

სულ სხვა არის,

შენი წმიდა ჭა და წყარო.

2001



\* \* \*

ବ୍ୟାତିଆତାଶ୍ରିଲ୍ଲେଜିଲ୍ଲୋ ମିନାଗଲା,  
ରାତି ପ୍ରୋଫା ଜାରିଲ୍ଲୋ  
ସିଥ୍ୟଗେହୀ ରା,  
ଶିମରାଗଲ୍ଲେମ ଅଧାର ନିକଳି କୁରୁକ୍ଷିତ,  
ରା... ଶେନୀ –  
„ପରିଶ୍ରବି ଯୁଦ୍ଧରେ ପରିଚାଳନାକୁବୋ“,  
ତିତକ୍ଷେତ୍ର ରା ନାଗକୁବୋ ପିକଲାନବୋ<sup>1</sup>.

2007

---

<sup>1</sup> ପିକଲାନବୋ (ବ୍ୟାକି) – ବାଣିଜ୍ୟର ପରିବାରରେ ପିକଲାନବୋ.



## პოლიტიკური ჟურნალი გვერდი

### პარტია

პროფ. ქლიმური შეღიას

ნეტავი რა იგრძნეს დღეებმა,  
წარსულში ყური რომ აცევიტეს  
და შიში დაეტყოთ ხმაშივე?!  
— კოლხეთი მოუხმობს ნაშიერთ:  
მაიას,  
ინკებს და აცემტებს.

2006



## ვირა პოჩა

ტანზე თეთრი სამოსელით,  
შოორს,  
ადდგომის კუნძულებზე,  
ორმოცზე მეტ საუკუნის  
მერეც, ქრისტესავით მოჩანს:  
ინდიელთა „თეთრი ღმერთი“  
და მზის შვილი „ვირა-კოჩა“\*

1983

---

\* ვირა კოჩა (მეგრ.) – მეფე კაცი.



\* \* \*

წელი არის ოცდაათი,  
რაც ნათელი დღისთვის  
იბრძვი  
და ნუ ჩაგეთვლება კვეხნად! –  
ღმერთს უყვარხარ! –  
რადგან ქვეყნად,  
ცხოვრობ სიყვარულის სიბრძნით.

2003



## ଅରଜୁଗାନ

କିମ୍ବା,

ଗଜେମିଳି?

ଅରଜୁଗାନ!

ମୋତେ କୀତେ ଦେଖାଇଲାଏ!!!

ତୋ,

ମିଥିମଧ୍ୟ ମଧ୍ୟରାଏ,

ଜୀମାରେ ଉପରାଏ ମଧ୍ୟରା ଦା...

ଅରସଟଗାମରିଗିଲି ଆର ମଧ୍ୟରା!

1993



\* \* \*

ბედისწერამ უფლის ეტლი,  
შენთან ბევრჯერ მიაგორა,  
მაგრამ შენ კი არასოდეს,  
არ ინდომე, „ბელადობა!“  
მერე გვიან, ვით ჰეკატე,<sup>1</sup>  
დაუძებდი მინდრაგორას,<sup>2</sup>  
მწვანე მოლს<sup>3</sup> და  
ბელადონას.<sup>4</sup>

1976

<sup>1</sup> ჰეკატე (ბერძ.) ქალღმერთი.

<sup>2,3,4</sup> – ჯადოსნერი ბალახები.



## ეპონავ

ზეგსის მერე, სამყარო,  
ბევრჯერ ცეცხლის ენებმა,  
შეტრუსეს და შელოპრეს.  
მე კი პონტოს ნაპირზე  
ისევ ისე დავეძებ —  
ჩემს კოლხ ასულს  
ევროპეს.\*

1979

---

\* ევროპე (ბერძ.) ზეგსის ცოლი, მინოსის დადა, მოგვიანებით კონტინენტის ევროპის სახელწოდება.



\* \* \*

(გარიანტი)

ბევრმა ათასწლეულმა –  
ოქროს სიყვარულით გმოსეს,  
ვით მზე,  
შენი წინაპარი  
უფლის ძე ხარ, ვითა მოსე  
და ღმერთთან ხარ წილნაყარი.

1973



\* \* \*

ଅନ୍ଧରେଣୁକାରୀ  
କୁରିକୁରିବିନ୍ଦୁ,

ରାତି ଶହୁରିଲୋଟି

ଅଥ ମାତ୍ରିଲ୍ଲବ୍ଦିରୀ,

ରାତି ଖରମାଗୁରୁ  
କୁରିକୁରିବିନ୍ଦୁ,


ମନ୍ଦିର ଅନ୍ଧରେଣୁକାରୀ  
କୁରିକୁରିବିନ୍ଦୁ.

ଏହି ଶହୁରିଲୋଟି  
ଅଥ ମାତ୍ରିଲ୍ଲବ୍ଦିରୀ  
କୁରିକୁରିବିନ୍ଦୁ,

ଶହୁରିଲୋଟି  
କୁରିକୁରିବିନ୍ଦୁ,

ଶହୁରିଲୋଟି  
କୁରିକୁରିବିନ୍ଦୁ,

ଶହୁରିଲୋଟି  
କୁରିକୁରିବିନ୍ଦୁ.



\* \* \*

მინდა რომ აღმოვაჩინო  
ლექსი, ვით ოქროს საბადო!  
სიმართლე უნდა ითქვას:  
პატივს მივაგებ ქალბატონს –  
მის აღმატებულებას –  
რითმას.

1964



## „მარადიული შრია“

კისრისტებით გამორბის  
და სიცოცხლე სწყურია,  
მაგრამ მოსდევს სიკვდილი.  
საიდანლაც გაქცეულ –  
„მარადიულ ურიას“.\*

1998

---

\* ვილჰელმ ქაულბახი – (1805-1874) დიდი გერმანელი მხატვარი – „მარადიული ურიას.“



\* \* \*

აქვე ახლოს,  
სოფლის ბოლოს,  
სანამ გარდავიქცევი ბორცვად,  
ყოველ დილით და საღამოს,  
ღვთის მადლი და  
უფლის ლოცვა,  
„მიცისკროვნებს ნათლის სამოსს“.

2007



\* \* \*

სიყვარულით გადახურულ  
ჩვენს ქარავთან,  
ჩამოდგება სანამ ბინდი  
და ჩვენს ოვალებს სანამ დამე  
მონისლავს,  
მანამ ქნარი გადაგვარჩენს  
სულიწმიდის,  
სიბრძნე სოლომონისა.

1980



\* \* \*

მადლის ტახტზე დაბრძანებულს,  
სიყვარულის ზღვას უფენენ.  
შენ კი,  
სიხარულის მთხოვნელს  
დღე – ყოველი გაახლოებს  
მზეს და  
ცათა სასუფეველს.

1996



\* \* \*

„მზიანი დამის“ ცისქვეშეთში,  
ლოცვით და შეწევნით  
განგების,  
ათასლწულებში გაძლებენ –  
შენი – კოლხური მითებით ნაგები:  
ზღვის ფსკერზე –  
ციხე და კოშკები,  
ხმელეთზე – პოეზიის ტაძრები.



\* \* \*

ჯერ კი როდის...

ათასეულ წლების იქით,  
როს ცოლ-ქმრული სიყვარული  
შლიდა აფრას.

ორთა ტრფობა ამ დროს აქეს.  
ჩვენიც იხე დარჩეს ზღაპრად –  
ვით პექტორის და ლვთაებრივ  
ანდრომაქეს.


1966



\* \* \*

ღამეებიდან და წარსულიდან,  
არავინ იცის,  
თუ როდის მოხველ  
და წყლის დვთაებას მოუხმობ ფასის.  
შავი ზღვა ხელში, უჭირავს  
კოლხეთს,  
ვითარც მზიოთ სავსე გრაალის თახი.

1965



\* \* \*

სამყარო რომ შეარყიო,

მიდი,

ერთხელ კიდევ სცადე:

სივრცე დასცე ხმა – მეხური.

მერე მეთერთმეტე ცამდე,\*

აჲყევ მნათთა მოოქროვილ

საფეხურებს.

1989

---

\* მეთერთმეტე ცა – სადაც მხოლოდ სინათლე და ღმერთია.



\* \* \*

მოგწეინდა ყოფნა დედამიწაზე,  
ცად ხეტიალი  
შვებას განიჭებს,  
სივრცეებს ცივ ხელებს გართმევენ.  
გადააბიჯე მთვარის –  
კარიბჭეს  
და მეცხრე ცისკენ მიემართები.

1965



\* \* \*

შოთა წარსულის ნისლში  
რომ ჩანს,  
მთვარე არა, ბაბილონის გოდოლია,  
